

**მწვანე ალტერნატივას მენიშვნებსა და წინადადებები
ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი
გამოყენების ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ
საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით**

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

26 იანვარი, 2022

ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით: ეს არის საკვანძო ადგილი კავკასიაში მიმდინარე ქურციკის რეინტროდუქციის პროექტისათვის, შეასრულებს ეკოლოგიური დერეფნისა და ბუფერის როლს სხვადასხვა დაცული ტერიტორიისთვის, განავითარებს დაცული ტერიტორიების ქსელსა და ზურმუხტის ქსელს. ამავდროულად, ეს არის კიდევ ერთი წინადადებული ნაბიჯი საქართველოში დაცული ტერიტორიის მმართველობის ფორმების განვითარების თვალსაზრისით. ვვარაუდობთ, რომ სამუხის დაცული ტერიტორია დიდ როლს შეასრულებს ბუნებრივი რესურსების და კონკრეტულად, ზამთრის საძოვრების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობისათვის. ვულოცავთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ყველა კონსერვაციონისტს ამ კანონპროექტის მომზადებას და წარმატებას ვუსურვებთ.

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას მენიშვნებსა და წინადადებებს განსახილველი კანონპროექტის ტექსტზე.

- **პრეამბულა.** სასურველია, რომ კანონს ჰქონდეს პრეამბულა, სადაც მოცემული იქნება: ა) მოკლე ინფორმაცია ნუგზარ ზაზანაშვილის ღვაწლის შესახებ - ეს მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოებისთვის და ბუნების დაცვის ისტორიისთვის; ბ) რატომ ატარებს ნუგზარ ზაზანაშვილის სახელს ეს კონკრეტული დაცული ტერიტორია; გ) რატომ არის კონსერვაციის თვალსაზრისით საჭირო სწორედ ამ კატეგორიის დაცული ტერიტორიის დაარსება. გთავაზობთ შემდეგ ფორმულირებას:

პრეამბულა

ამ კანონით არსდება დაცული ტერიტორია, რომელიც ატარებს კავკასიის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის რეგიონული ლიდერის, საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ერთ-ერთი დამაარსებლის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის (WWF Caucasus PO) კონსერვაციის დირექტორის - ნუგზარ ზაზანაშვილის სახელს. საქართველოში ქურციკის პოპულაცია მთლიანად იყო გადაშენებული ადამიანის ზემოქმედების შედეგად. მისი აღდგენა დღეისათვის საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით და ამ პროექტს ნუგზარ ზაზანაშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
+(995 32) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

სამუხის ველი ქურციკის ანუ ჯეირნის (*Gazella subgutturosa*) ერთადერთი საბინადრო გარემოა საქართველოში; ამავდროულად, ეს ტერიტორია ისტორიულად გამოიყენება, როგორც ზამთრის საძოვარი. ის ესაზღვრება ვაშლოვანისა და ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებს, ასევე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე გახის ადკვეთილს და მათ ბუფერს წარმოადგენს. ამდენად აუცილებელია ისეთი კატეგორიის დაცული ტერიტორიის დაარსება, რომელიც ორმხრივ სასარგებლოა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისთვის.

- **მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

კანონპროექტის რედაქცია:

„ 1. კანონის ძირითადი მიზნებია: ა) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის შექმნა და ფუნქციური დაგეგმარება“

გაუგებარია, რას აღნიშნავს სიტყვები „ფუნქციური დაგეგმარება“: ფუნქციების განსაზღვრა? ფუნქციების მიხედვით ტერიტორიის დაგეგმარება? კანონპროექტის ტექსტში ეს შინაარსი არ არის. უმჯობესია, ეს ორი სიტყვა ამოღებული იქნას, რადგან შინაარსობრივად არაფერს ამბობს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის შექმნა“

- **მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

კანონპროექტის რედაქცია:

„ბ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის მართვის მექანიზმების მოწესრიგება“.

შემოთავაზება: „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის მმართველობის ფორმა და მართვის მექანიზმების მოწესრიგება;“

განმარტება: კანონპროექტის მე-7 მუხლი, თავისი შინაარსით წარმოადგენს მმართველობის ფორმის განსაზღვრას. მმართველობა (Governance) და მართვა (Management) პრინციპულად სხვადასხვა ცნებებია. რაც შეეხება „მართვის მექანიზმების მოწესრიგებას“, წარმოდგენილ კანონპროექტში ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი.

- **მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

კანონპროექტის რედაქცია:

დ) ფაუნის მრავალფეროვანი სახეობების (სარსარაკის, ბუქობის არწივის, სვავის, ორბის და სხვა.) დაცვა და შენარჩუნება.

შემოთავაზება:

„დ) ფაუნის მნიშვნელოვანი / ან იშვიათი / ან საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების (სარსარაკის, ბუქობის არწივის, სვავის, ორბის და სხვა.) დაცვისა და შენარჩუნების ხელშეწყობა“.

განმარტება: მრავალფეროვანი სახეობები არ არსებობენ (ფრჩხილებში ჩამოთვლილ სახეობებს ვერ უწოდებ „მრავალფეროვანს“: „მრავალფეროვანი ორბი“, „მრავალფეროვანი სვავი“, „მრავალფეროვანი სარსარაკი“ და ა.შ.), არსებობს სახეობათა მრავალფეროვნება.

ეს პუნქტი შესაძლებელია გადავიდეს მე- 3 მუხლში? ლათინური სახელწოდებების დამატება საჭიროა.

- **მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

გთავაზობთ, პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ პუნქტები:

„ე) ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო დონეზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელისა და ზურმუხტის ქსელის განვითარება.

ვ) ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხელშეწყობა ბუნების დაცვასთან თავსებადი მეთოდებითა და მასშტაბით“.

განმარტება: ამ დამატების მიზანია IUCN-ის რეკომენდაციებთან და განმარტებებთან დაახლოება და ჰარმონიზაცია.

- **მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები**

2. კანონის ძირითადი ამოცანები:

კანონპროექტის რედაქცია:

„ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენება;“

შემოთავაზება:

„ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების დაცვა, აღდგენა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება;“

განმარტება: შემოთავაზება რედაქციული ხასიათისაა.

- **მუხლი 3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა და მისი მიზნები**

კანონპროექტის რედაქცია:

1. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადამენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველის - ქურციკის (*Gazella subgutturosa*) და მასთან დაკავშირებული ეკოსისტემის შენარჩუნებისთვის საჭირო პირობების დასაცავად.

კომენტარი:

ბიომრავალფეროვნების დაცვის ახალი კანონის მიღების შემდეგ ეს ფორმულირება შესაცვლელი იქნება. იქნებ შესაძლებელია ახლავ უფრო ნეიტრალური ფორმულირების მოფიქრება.

- **მუხლი 3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა და მისი მიზნები**

კანონპროექტის რედაქცია:

„3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ქურციკის პოპულაციის აღდგენისათვის“.

ეს პუნქტი ამოვარდნილია ზედა შინაარსიდან, თითქოს ზემოთ არაფერი არ წერია. უკეთესია, ეს პუნქტი გადაკეთდეს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტად:

„დ) გარემოს დაცვის მოთხოვნების და უპირველეს ყოვლისა, ქურციკის პოპულაციის აღდგენის საჭიროებების გათვალისწინებით, ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა.“

- **მუხლი 3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა და მისი მიზნები**

გთავაზობთ, მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ - „ი“ პუნქტები:

ე) ადამიანსა და ბუნებას შორის დაბალანსებული ურთიერთობის განვითარება და გაძლიერება

ვ) მდგრად განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ დონეზე და ტრანსსასაზღვრო დონეზე.

ზ) სამეცნიერო კვლევა და გარემოს მონიტორინგის წარმოება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების კუთხით.

თ) საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაძლიერება და ერთიანობის უზრუნველყოფა / ხელშეწყობა.

ი) ზურმუხტის ქსელის საიტების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ქსელის შემდგომი განვითარება

განმარტება: ამ დამატების მიზანია IUCN-ის რეკომენდაციებთან და განმარტებებთან დაახლოება და ჰარმონიზაცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი ისეთი ინფორმაცია იყოს ასახული კანონში, რომელიც დაეხმარება და მიმართულებას მისცემს ამ დაცული ტერიტორიის მართვის ინსტრუმენტების შემუშავებას (წესდება, მართვის გეგმა).

- **მუხლი 5. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები**

კანონპროექტის რედაქცია:

“1. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია წარმოადგენს ქვეყნის უკიდურესს სამხრეთ-აღმოსავლურ წერტილს, რადგან საქართველოს უკიდურესს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ივრის ქვედა დინებაში მდებარეობს. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრები თანხვედრაშია საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვართან, ხოლო ჩრდილოეთიდან პრაქტიკულად მთელ სიგრძეზე ესაზღვრება ვამლოვანის ეროვნული პარკის საზღვარს.


2. დაცული ტერიტორია მოიცავს ზურმუხტის ქსელის სამუხის (GE0000061) ტერიტორიას და დედოფლისწყაროს გეგმარებით ბიოსფერულ რეზერვატს;“

შემოთავაზება:

1. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ივრის ქვედა დინებაში მდებარეობს. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დასავლეთი ესაზღვრება კოწახურას ქედს (ზურმუხტის საიტი კოწახურა), სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრები ემთხვევა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარს, ხოლო აღმოსავლეთიდან პრაქტიკულად მთელ სიგრძეზე ესაზღვრება ვამლოვანის ეროვნული პარკის საზღვარს (შენიშვნა: ვისარგებლე რუკით, რომელიც მოცემულია Emerald Network reference-portal-ზე).

2. დაცული ტერიტორია მოიცავს ზურმუხტის ქსელის სამუხის (GE0000061) ტერიტორიას და შედის დედოფლისწყაროს გეგმარებით ბიოსფერულ რეზერვატის ფარგლებში;

განმარტება - შესწორება რედაქციული ხასიათისაა და უზუსტობების გამოსწორების მიზანს ემსახურება. „წარმოადგენს ქვეყნის უკიდურესს სამხრეთ-აღმოსავლურ წერტილს“ - ეს ნაწილი ზედმეტია და ამოსადება, არაფერს იძლევა, აზრი მეორდება; დაცული ტერიტორია მოხსენიებულია სახელით „ელდარის დაბლობი“, იგივე სახელია გამოყენებული განმარტებით ბარათში.



• **მუხლი 6. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ფუნქციონალური ორგანიზაცია**

სასურველია, რომ ამ მუხლში უფრო მეტად იყოს დაზუსტებული სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვის საკითხები, ვინაიდან კანონქვემდებარე რეგულირება ამ თემაზე არ არსებობს. ჩემის აზრით, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს გაუადვილდებათ საქმიანობა, თუ კანონში ასახული იქნება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიმართებები ამ კატეგორიის დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით. შესაძლებელია მუხლის სათაურიც ჩასწორდეს და გამოყენებული იყოს ტერმინი „მართვა“, მაგალითად: „სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებული საკითხები“

გთავაზობთ, მუხლში შემდეგი დამატებების და ცვლილებების შეტანას:

1. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) VI კატეგორიას (Protected area with sustainable use of natural resources - დაცული ტერიტორია ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით) და რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს, ერთის მხრივ, ძირითადი ბუნებრივი ეკოსისტემებისა და სახეობების დაცვას და მეორეს მხრივ, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას.
2. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოეწყოს სხვადასხვა ზონა - ბიომრავალფეროვნების დაცვის, რეკრეაციის, ეკოტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე.
3. ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის რეკრეაციული, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო და ა.შ. უნდა წარიმართოს იმ მეთოდებითა და მასშტაბით, რომელიც ხელს შეუწყობს ქურციკის პოპულაციის აღდგენას, არ გამოიწვევს მათ შეწუხებას, ჰაბიტატის შემცირებას, დეგრადაციას ან ფრაგმენტაციას, არ წარმოქმნის ქურციკის ინდივიდების დაღუპვის საფრთხეს.
4. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე აკრძალულია:
 - ა) ნადირობა;
 - ბ) წყლის უხერხემლოთა მოპოვება;

გ) ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობა;

დ) ისტორიულ-კულტურული ძეგლების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება;

ე) სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

დამატებით უნდა განისაზღვროს, ვინ და რა პერიოდულობით შეიმუშავებს მართვის გეგმას, ვინ ამტკიცებს, როგორი იქნება მისი დამტკიცების პროცედურა და ა.შ.

- **მუხლი 7. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები**

კანონპროექტის მიხედვით, სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მმართველობის ფორმად იკვეთება „თანამმართველობა“. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) თანახმად, დაცული ტერიტორიის მმართველობის ფორმა ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას და კონსულტაციას; ხოლო დაცული ტერიტორიის მართვა სამთავრობო და არასამთავრობო მხარეებს შორის მართვის უფლებამოსილების განაწილებით მიმდინარეობს. ეს პროგრესული ნაბიჯია საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების მიმართულებით. ეს ყველაფერი ასახული უნდა იყოს კანონში.

ასევე, აუცილებელია, რომ წარმომადგენლობით საბჭოში შედიოდნენ ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები. შესაბამისად, გთავაზობთ შემდეგ რედაქციას:

„4. წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობაში შედიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის, სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებებისა და ანმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების, დაცული ტერიტორიების მეგობრების, ფერმერთა და მონადირეთა ასოციაციების წარმომადგენლები“.

- **მუხლი 7. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები**

ამ მუხლის მე-5 აღნიშნულია, რომ ამ კანონით განისაზღვრება წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) შემადგენლობა, უფლება-მოვალეობები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული საკითხები, თუმცა კანონპროექტში ამის შესახებ არაფერი წერია. სასურველია გაიწეროს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კანონქვემდებარე რეგულირება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს.

- **მუხლი 7. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვის უფლებამოსილების მქონე ორგანოები**

კანონპროექტის ამ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „წარმომადგენლობითი ორგანო (საბჭო) შეიმუშავებს სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და წარუდგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას“.

- მიზანშეწონილია დაზუსტდეს, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს საბჭოს საქმიანობას?
- კონსერვაციული ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, შესაძლებელია მიზანშეწონილი გამოდგეს, რომ სამუხის დაცულ ტერიტორიას, ჭაჭუნას ადკვეთილს, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს და ბიოსფერულ რეზერვატს ერთიანი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო ყავდეთ.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ყველგან სამუხის ნაცვლად მოხსენიებულია ელდარის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

სადისკუსიო საკითხი

„მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია“ - სახელწოდება საქართველოს კანონის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონითაა დადგენილი, სადაც აღნიშნულია: მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას – რესურსების მართვის დაცული ტერიტორია (Managed Resource Protected Area);

დღეისათვის საქართველოში არსებობს ამ კატეგორიის 4 დაცული ტერიტორია, რომლებიც სამწუხაროდ, ან მხოლოდ სახელწოდების დონეზე არსებობენ (კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია) ან ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებენ თავის ფუნქციებს (ფშავ-ხევსურეთის, ჯავახეთის).

წინამდებარე კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, „აღსანიშნია, რომ კანონის საფუძველზე ქვეყანაში პირველად შეიქმნება ფუნქციონირებადი VI კატეგორიის დაცული ტერიტორია“.

ხომ არ იქნება მიზანშეწონილი, რომ ვისარგებლოთ ამ მომენტით და ქართული სახელწოდება „მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია“ საქართველოს კანონმდებლობაში ჩავანაცვლოთ ისეთი ტერმინით, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) VI კატეგორიის თანამედროვე სახელს და განმარტებებს (Protected area with sustainable use of natural resources¹ და უფრო ცხადად ასახავს ასეთი კატეგორიის დაცული ტერიტორიის არსს.

კერძოდ გთავაზობთ ასეთ სახელწოდებას: ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების დაცული ტერიტორია

შესაბამისად, გვექნება „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების დაცული ტერიტორია“ („ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია“ ნაცვლად).

დამატებით, ამ კანონპროექტთან ერთად რედაქციული ხასიათის ცვლილებები შევა საქართველოს კანონებში „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, „ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“.

¹ <https://www.iucn.org/theme/protected-areas/about/protected-areas-categories/category-vi-protected-area-sustainable-use-natural-resources>